„თეზისი 3 წუთში“

ზოგადი მიმოხილვა

ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა, ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის განვითარების ფონდის მხარდაჭერით, მეცნიერების პოპულარიზაციისა და ახალგაზრდა მეცნიერთა განვითარების ხელშეწყობის მიზნით ატარებს ქუინსლენდის უნივერსიტეტის მიერ შემუშავებულ პროექტ-კონკურსს: **„თეზისი 3 წუთში"**. კონკურსი ამჟამად მსოფლიოს 60-ზე მეტი ქვეყნის უნივერსიტეტში ტარდება.

პროექტი „თეზისი 3 წუთში“ გულისხმობს დოქტორანტების სამეცნიერო კვლევითი ნაშრომების „შეჯიბრს“ პოპულარულ, მარტივად გასაგებ ენაზე და წარმოადგენს კვლევებში სტუდენტთა ჩართულობის მხარდამჭერ ღონისძიებას, რომელიც ხელს უწყობს მონაწილეთა აკადემიური, პრეზენტაციისა და კვლევითი კომუნიკაციის უნარის გაზრდას. კონკურსის მონაწილემ ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის მხოლოდ 3 წუთში უნდა შეძლოს სადოქტორო კვლევის მნიშვნელობისა და შინაარსის ეფექტურად ახსნა.

პროექტში მონაწილეობა შეუძლია საქართველოს უნივერსიტეტების **დოქტორანტებს,** რომელთაც განაცხადების მიღების ვადის დამთავრებისთვის, ჯერ კიდევ არ აქვთ დაცული ხარისხი (მიმართულება შეზღუდული არ არის).

კონკურსანტებს შეაფასებს 5 წევრისგან შემდგარი ჟიური. გამარჯვებულ დოქტორანტებს გადაეცემათ ფულადი პრიზები და სამახსოვრო საჩუქრები.

პროექტი “თეზისი 3 წუთში“ საქართველოში პირველად 2021 წელს ჩატარდა, რომელშიც მონაწილეობა სხვადახვა უნივერსიტეტებისა და მიმართულებების/ფაკულტეტების დოქტორანტებმა მიიღეს. როგორიცაა: სამართალი, ეკონომიკა, ბიზნეს ადმინისტრირება, ქიმია, აგრარული მეცნიერებები - სასურსათო ტექნოლოგია, ბიოტექნოლოგია, მეღვინეობა, ჰუმანიტარულ მეცნიერებები - ქართული ლიტერატურის ისტორია, სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებები - მოლეკულური ბიოტექნოლოგია და ბიოქიმია.

პანდემიიდან გამომდინარე კონკურსი ვიდეო ფორმატში ჩატარდა, მონაწილეებმა ჩაწერეს საკუთარი გამოსვლების 3 წუთიანი ვიდეო ჩანაწერები, რომლებიც აიტვირთა ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის YouTube არხსა და Facebook გვერდზე.

პროექტის ფარგლებში გამოვლინდა 3 გამარჯვებული:

- **I ადგილი:** ანა გვარამაძე – გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი - თემა: *„საქართველოში საგანმანათლებლო ტურიზმის განვითარების თანამედროვე გამოწვევები და შესაძლებლობები“*

- **II ადგილი:** მარიამი რუსიტაშვილი – საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი - თემა: *„უმაღლესი გაზიდიომიცეტის საშუალებით ლაკაზის წარმოება“*

- **III ადგილი:** სალომე ბესტაევა – გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი - თემა: *„სოფლად ტურიზმის ბიზნესის განვითარება“*

<u>პროექტის წესები</u>

- პროექტში მონაწილეობისთვის აუცილებელია რეგისტრაციის გავლა - https://forms.gle/6JAW5JHXJZtJUenR8
- მონაწილეს განაცხადების მიღების ვადის დამთავრებისთვის, ჯერ კიდევ არ უნდა ქონდეს დაცული ხარისხი;
- მოხსენების ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 3 წუთს. მონაწილე, რომელიც ამ დროში ვერ ჩაეტევა, დისკვალიფიცირდება;
- მოხსენების დასაწყისად ითვლება მომენტი როცა მონაწილე იწყებს საუბარს;
- აუცილებელი მხოლოდ ერთი სტატიკური PowerPoint სლაიდი (ყოველგვარი მოძრაობის, ანიმაციის, გადასვლის და დამატებითი ტექსტობრივი განმარტების გარეშე); სლაიდის მოწოდება უნდა მოხდეს რეგისტრაციის გავლისას (სარეგისტრაციო ფორმაში ატვირთვით);
- დაუშვებელია დამატებითი ელექტრონული საშუალებები, როგორიცაა ხმა, მუსიკა, ვიდეო;
- დაუშვებელია დამატებითი საგნები, როგორიცაა კოსტუმი (იგულისხმება ნებისმიერი პერსონაჟის ფორმა), მუსიკალური ინსტრუმენტი, ლაბორატორიული ტექნიკა;
- მოხსენება უნდა იყოს თხრობა. დაუშვებელია ლექსი, რეჩიტატივი, სიმღერა;
- კომისიის გადაწყვეტილება საბოლოოა.

<u>შეფასების კრიტერიუმები</u>

მონაწილეების შეფასება მოხდება წინასწარ შერჩეული კომპეტენტური კომისიის წევრების მიერ, ქუინსლენდის უნივერსიტეტის მიერ პროექტისთვის შემუშავებული კრიტერიუმების მიხედვით.

1. მოხსენების აღქმადობა და შინაარსი

- მოხერხდა თუ არა მოხსენებით კვლევის საგნის კონცეფციის და მნიშვნელობის გადმოცემა, ტერმინოლოგიის განმარტება და ჟარგონისგან თავის აცილება?
- მოხერხდა თუ არა მოხსენებით კვლევის შედეგების გავლენის და მნიშვნელობის ნათლად წარმოჩენა, მათ შორის დასკვნებით და მიღწევებით?
- მიყვებოდა თუ არა მოხსენება ლოგიკურ ხაზს?
- იყო თუ არა დისერტაციის თემატიკა, კვლევის მნიშვნელობა, შედეგების გავლენა გადმოცემული არასპეციალისტი აუდიტორიისათვის შესაფერის ენაზე?
- დაუთმო თუ არა მომხსენებელმა ადეკვატური დრო მოხსენების თითოეულ ელემენტს? ანუ ხომ არ იყო მოხსენების ნაწილი ზედმეტად გავრცობილი ან აჩქარებული?

2. ჩართულობა და კომუნიკაცია

- გააღვივა თუ არა მონაწილემ საკითხისადი ცნობისმოყვარეობა და ინტერესი, მეტის გაგების სურვილი?
- მოახერხა თუ არა მომხსენებელმა რომ ძალიან არ გაემარტვენინა და განეზოგადებინა საკითხი?
- შეძლო თუ არა მომხსენებელმა კვლევისადმი ენთუზიაზმის გადმოცემა?
- მოახერხა თუ არა მომხსენებლმა თავდაჯერებულად, თანმიდევრულად და თანაბარი ტემპით თხრობა?
- გააძლიერა თუ არა სლაიდმა მოხსენება? იყო თუ არა გასაგები, წაკითხვადი, მოხსენების შესაფერისი?

გამარჯვებულები

პროექტის ფარგლებში გამოვლინდება 3 გამარჯვებული (ჟიურის გადაწყვეტილებით) და ხალხის რჩეული (დამსწრე მაყურებლის ხმების უმრავლესობით). გამარჯვებულ დოქტორანტებს გადაეცემათ ფულადი პრიზები და სამახსოვრო საჩუქრები:

- I ადგილი - 2000 ლარი (დარიცხული)
- II ადგილი - 1500 ლარი (დარიცხული)
- III ადგილი - 1000 ლარი (დარიცხული)
- ხალხის რჩეული - ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკისგან სიმბოლური საჩუქარი

<u>პროექტის ვადები</u>

- საკონკურსო განაცხადების მიღების ბოლო ვადა - **2022 წლის 30 ნოემბერი**
- გამარჯვებულების გამოვლენა და დაჯილდოვება - **2022 წლის დეკემბრის პირველი ნახევარი**

საკონტაქტო ინფორმაცია

კითხვების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

ელ-ფოსტა: marim.m@sciencelib.ge infopr@sciencelib.ge

მობილური: 555 13-91-51 - მარიამ მაისურაძე